

## შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

დადგენილება №030240

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

18 მარტი 2025 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამომტანაზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის უფროსი იურისტი ნინო ჯიშკარიანი.

2. საქმის განხილვის თარიღი: 18.03.2025 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი ომარ ხომერიკი ს/კ 33001014154; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ხრიალეთი; აბონენტის ნომერი 1116731591; ტელ.: 599194505.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა ომარ ხომერიკის, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევი პირის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №030240 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, რომლის თანახმად, ომარ ხომერიკის საცხოვრებელ სახლში, აღმოჩენილ იქნა უკანონო მოხმარების ფაქტი, მრიცხველზე ზემოქმედებით, კერძოდ კი მრიცხველს აღენიშნებოდა მექანიკური დაზიანება ციფერბლატთან, სარკმელი გახვრეტილი იყო მთვლეელი მექანიზმის კბილანების არეალში. აღსრიცხვის კვანძის დათვალიერების აქტის მიხედვით აბონენტმა აღიარა ცადენილი დარღვევა და ხელი მოაწერა დათვალიერების აქტს. საქმეზე თანდართულია ფოტომასალა, აღრიცხვის კვანძის დათვალიერების აქტი, მრიცხველის შეცვლის აქტი, ვიდეომასალა, მოხსენებითი ბარათი.

ოქმის შემდგენის განმარტებით ამა წლის 12 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრიალეთში გამოვლენილ იქნა ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარების ფაქტი, კერძოდ კი, მრიცხველის ვიზუალური დათვალიერების შედეგად შემჩნეულ იქნა რომ მრიცხველის ციფერბლატის სარკმელი მთვლეელი მექანიზმის კბილანების არეალში იყო გახვრეტილი. ადგილზე იმყოფებოდა აბონენტი რომელმაც აღიარა სამართალდარღვევის ფაქტი. აღნიშნული ქმედების შედეგად შედგა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი №030240. სხდომა დაინიშნა ამა წლის 18 მარტს.

საქმეზე დართული მტკიცებულებები იძლევა საფუძვლიან ეჭვს იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას.

შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბაზაში, ომარ ხომერიკი არ ირიცხება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228<sup>2</sup>, 236-237, 260-ე და 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

#### და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ომარ ხომერიკი პ/ნ 33001014154 ცნობილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად, სამართალდარღვევა გათვალისწინებული საქართველოს ასკ-ის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაედოს ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

დადგენილების გამომტანი

